თამარ ადეიშვილი[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.45

ეთნიკური სტერეოტიპები და განწყობები სტუდენტურ ჯგუფებში

აბსტრაქტი. სტატიაში ასახულია ქართველი სტუდენტების ეთნიკური სტერეოტიპები და დამოკიდებულებები. კვლევაში 122 სტუდენტი მონაწილეობდა, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევა, სადაც ფოკუს ჯგუფებში შევეცადეთ გაგვერკვია: 1. რა ეროვნების ადამიანებს ხვდებიან სტუდენტები ხშირად სხვადასხვა ადგილებში, როგორიცაა ქუჩა, სამსახური, უნივერსიტეტი, სამეზობლო და ა.შ. 2. რა ინფორმაცია ჰქონდათ მათ საქართველოში ვიზიტის შესახებ? 3. ეროვნების მიხედვით როგორ აღიქვამენ ეთნიკურ ჯგუფებს საქართველოში სტუდენტები.

კვლევის მეორე ეტაპზე შევისწავლეთ მოსწავლეთა დამოკიდებულება ეთნიკური ჯგუფების მიმართ. კვლევის ინსტრუმენტად აირჩიეს ბოგარდუსის „სოციალური დისტანციის სკალა“, რომელიც სრულიად ტოლერანტული დამოკიდებულებების – სრულიად შეუწყნარებელი დამოკიდებულებების შესწავლის საშუალებას იძლევა.

შედეგებმა აჩვენა, რომ ქართველ სტუდენტებს ყველაზე მეტი მიმღებლობა და შემწყნარებლობა ჰქონდათ ევროპელების, თურქების და შავკანიანების მიმართ, ხოლო ყველაზე დაბალი ტოლერანტობის მაჩვენებელი დაფიქსირდა ინდოელებისა და ირანელების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: სტერეოტიპები, სტუდენტები, ეთნიკურობა, კვლევა, ბოგარდუსის სკალა, ტოლერანტობა, მაჩვენებელი.

---

[1] **თამარ ადეიშვილი** - ფსიქოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

Tamar Adeishvili[2]
Sokhumi State University

Ethnic stereotypes and attitudes in student groups

Abstract. The article reflects the ethnic stereotypes and attitudes of Georgian students. 122 students participated in the study. The research was conducted in two stages. At the first stage, a qualitative study was carried out, where in focus groups we tried to find out: 1. People of what nationality do students meet often in different places, such as on the street, at work, at university, in the neighborhood, etc. 2. What information did they have about their visit to Georgia? 3. How ethnic groups are perceived by students in Georgia by nationality.
In the second stage, we studied students' attitudes towards ethnic groups. Bogardus' "Social Distance Scale" was chosen as the research tool, which allows the study of completely tolerant attitudes - completely intolerant attitudes.
The results also showed that Georgian students had the highest acceptance and tolerance towards Europeans, Turks and blacks, while the lowest tolerance rates were found towards Indians and Iranians.
Keywords: stereotypes, students, ethnicity, research, Bogardus scale, tolerance, indicator.

აქტუალობა. საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ეთნიკური მრავალფეროვნებით, თუმცა თანამედროვე ეტაპზე გლობალურ ცვლილებებთან ერთად, ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაძლიერებამ კიდევ უფრო გაზარდა სხვადასხვა ეროვნების ეთნიკური ჯგუფების ვიზიტორთა თუ მიგრანტთა შემოდინება საქართველოში. სპეციფიურობა, რომელიც ეთნიკური ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი ნათლად აისახება ხალხის ტრადიციებში, ენაში, კულტურაში და ცნობიერებაში. მათ მიმართ სოციალური წარმოდგენები კი, თაობიდან თაობას გადაეცემა და სტერეოტიპებისა და განწყობების სახით ყალიბდება, რაც დიდწილად ეთნიკური თვითშეგნებისა და ცნობიერების განმსაზღვრელია. ამავდროულად ეთნიკურ ჯგუფებს შორის სათანადო ურთიერთობა კულტურული ნორმებისა და ღირებულებების ადეკვატური გაგების გარეშე შეუძლებელია.

ეთნიკური სტერეოტიპი სოციალური სტერეოტიპების ერთგვარი ნაირსახეობაა, იგი სამეცნიერო ლიტერატურაში განსაზღვრულია, როგორც

[2] **Tamar Adeishvili** - Doctor of Psychology, Associate Professor of Sokhumi State University;

ეთნიკური ჯგუფის ან საზოგადოების, სქემატური, ემოციურად შეფერილი და უკიდურესად სტაბილურად გამოსახული წარმოდგენა, რომელიც მის ყველა წარმომადგენელზე ვრცელდება (Липпман, 2004: 384).

სოციალური განწყობის სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტები შემეცნებით, გრძნობად და ქცევით თვისებებს მოიცავს. სოციალური განწ-ყობის ეს შემადგენელი ნაწილები განცალკევებულად კი არ მოქმედებენ, არამედ ისინი რაიმე სოციალური ობიექტის მიმართ პიროვნების ურთიერ-თდაკავშირებულ შემეცნებით, გრძნობად და ქცევით სისტემურ მთლიანო-ბას ქმნიან და იმავე ობიექტის მიმართ ადამიანის ტენდენციის, წინასწარი მზაობის სახით წარმოდგებიან. განწყობის კოგნიტური კომპონენტი, რომე-ლსაც პერცეპტუალურს, ინფორმაციულსა და სტერეოტიპულ კომპონენ-ტ-საც ეძახიან, დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ აღიქმება ობიექტი, მი-სი კონცეპტუალური კონოტაცია, ან ობიექტის ,,სტერეოტიპი". ესაა განწყო-ბის ობიექტის შესახებ ადამიანების რწმენები **(ლაღიძე, 2009:** 23-24). სტერე-ოტიპები ხშირად არის ემოციურად შეფერილი სიმპათიებითა თუ ანტიპა-თიებით. ამის გამო ერთსა და იმავე საქციელს შეიძლება სხადასხვაგვარი შეფასება მოჰყვეს. ის ნიშან-თვისებები, რომლებიც ერთი ხალხისთვის გა-ნიხილება როგორც ჭკუის გამოვლინება, სხვებთან შეიძლება აღქმული იყოს როგორც ეშმაკობის, ცბიერების ნიშანი (თევზაძე, 2017: 116)
სტერეოტპები რეალობის ადექვატურია თუ აუტო და ჰეტეროსტერეოტი-პები ერთმანეთს ემთხვევა. ჯგუფთან უშუალო კონტაქტი მნიშვნელოვნად ზრდის სტერეოტიეპების ვალიდობას. სტერეოტიპების სიახლოვე რეალო-ბასთან დამოკიდებულია მათი განმსაზვრელი ფაქტორების ურთიერთ-დამოკიდებულებაზე (დესპოტაშვილი, აბზიანიძე, 2004: 59-64).

ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობები და წარმოდგენები დღე-მდე ინარჩუნებს სოციალური ფსიქოლოგების ინტერესს და კვლევის მი-ზანს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სხვადასხვა ეროვნებისა და ეთ-ნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის ჰარმონიულ ურთიერთობებს, ეთნიკური დამოკიდებულებისა და სტერეოტიპების ოპტიმიზაციას, მათ შორის უნდობლობისა და მტრობის შემცირებას.

ნაშრომის ***მიზანია*** სხვადასხვა ეროვნების ჯგუფების, ვიზიტორთა და მიგრანტთა მიმართ ეთნიკური სტერეოტიპებისა და განწყობების შესწა-ვლა სტუდენტურ ჯგუფებში.

კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ჩატარდა თვისობრივი კვლევა ფოკუს ჯგუფებში, რის საფუძველზეც შევეცადეთ გაგვერკვია: 1.

რომელი ეროვნების ადამიანებს ხვდებიან სტუდენტები ყოველდღიურად სხვადასხვა დანიშნულების ადგილებში მაგ: ქუჩაში, სამსახურში, უნივერსიტეტში, მეზობლად და ა.შ. 2. რა ინფორმაციას ფლობდნენ მათი საქართველოში ვიზიტის შესახებ. 3.როგორ აღიქმება სტუდენტთა მიერ საქართველოში მყოფი ეთნიკური ჯგუფები ეროვნების მიხედვით.

მეორე ეტაპზე სტუდენტთა ეთნიკური ჯგუფების მიმართ დამოკიდებულება შევისწავლეთ. კვლევის ინსტრუმენტად შერჩეულ იქნა ბოგარდუსის „სოციალური დისტანციის სკალა", რომელიც სრულიად შემწყნარებელი დამოკიდებულებიდან - სრულიად შეუწყნარებელი დამოკიდებულების კვლევის საშუალებას იძლევა. ინსტრუმენტი შეიცავს ორი სახის კითხვას: „როგორ მოექცეოდით?" და „როგორ მოგექცეოდათ?". მეორე კითხვა რესპონდენტის სუბიექტური აზრის გარკვევაში გვეხმარება.

კვლევა ჩატარდა საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში. სულ გამოკითხული იქნა 122 სტუდენტი.

ემპირიული კვლევის ანალიზი. თვისობრივი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქართველი სტუდენტები ეთნიკური ჯგუფებიდან ჩვენს ტერიტორიაზე ყველაზე მეტად ჩინელებს, ინდოელებს, ირანელებს, არაბებს, ევროპელებს, შავკანიანებსა და თურქებს ხვდებიან. გარდა ამისა, სტუდენტები გარკვეულ წილად ინფორმირებულები არიან იმის შესახებ თუ რომელი ეთნიკური ჯგუფი რა მიზნით იმყოფება საქართველოში. მაგალითად, მათი აზრით ჩინელები საქართველოში საცხოვრებლად და სამუშაოდ იმყოფებიან, ინდოელები სასწავლებლად, ევროპელები საქართველოს ტურიზმის ან დიპლომატიური მიზნით სტუმრობენ, თურქები, ირანელები და არაბები ბიზნესით არიან დაინტერესებული, ხოლო, შავკანიანები სხვადასხვა სპორტული გუნდის წევრები არიან. თუ, რომელი ეთნიკური წარმომდგენლის მიმართ რა დამოკიდებულება აქვთ ქართველ სტუდენტებს წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებსა და გრაფიკებში.

სოციალური დისტანციის საშუალო მაჩვენებელი სტუდენტებში „როგორ მოექცეოდი?“, ნახ. 1.



კლასტერული ანალიზის საფუძველზე ქართველ სტუდენტებში გამოიკვეთა ეთნიკური ჯგუფებისადმი სამი დონის მიმღებლობა. მაღალი მიმღებლობით და შემწყნარებლობით გამოირჩევიან ევროპელების მიმართ, თურქებისა და შავკანიანების მიმართ. საშუალო დონეზე მიმღებლობა გამოვლინდა ჩინელებისა და არაბების მიმართ, ხოლო მესამე დონეზე, შეუწყნარებლობა გამოხატეს ინდოელებისა და ირანელების მიმართ.

ვაჟებისა და გოგონების ეთნიკური ჯგუფებისადმი სოციალური დისტანციის საშუალო მაჩვენებელი, ნახ. 2



სტატისტიკური მნიშვნელობის განსხვავება შეინიშნება გოგონებისა და ვაჟების ეთნუკური ჯგუფებისადმი სოციალური დისტანციის მონაცემებში. მაგალითად: ევროპელების მიმართ უფრო მეტი მიმღებლობით გამოირჩევიან გოგონები ვიდრე ვაჟები, ხოლო არაბების მიმართ უფრო მაღალი დონის დისტანცია გამოვლინდა გოგონებთან ვიდრე ვაჟებთან. ჩინელების მიმართ შედარებით მაღალი მიმღებლობით გამოირჩევიან გოგონები და დაბალი მიმღებლობით ვაჟები.

კორელაციური ანალიზი

	ევროპელი	თურქი	ინდოელი	ჩინელი	ირანელი	არაბი	შავკანიანი
ევროპელი	1	-.118	.026	.298**	-.056	-.077	-.206*
თურქი	-.118	1	.094	-.037	.078	.188*	-.005
ინდოელი	.026	.094	1	.214*	.260**	-.077	.057
ჩინელი	.298**	-.037	.214*	1	.014	-.004	-.316**
ირანელი	-.056	.078	.260**	.014	1	.057	-.058
არაბი	-.077	.188*	-.077	-.004	.057	1	-.055
შავკანიანი	-.206*	-.005	.057	-.316**	-.058	-.055	1

ეთნიკური ჯგუფებისადმი სტუდენტების დამოკიდებულების კორელაციური ანალიზის საფუძველზე სტატისტიკურად სანდო დადებითი კორელაცია გამოვლინდა ევროპელებისა და ჩინელების მიმღებლობას შორის, ანუ რაც უფრო მაღალია ქართველი სტუდენტების მიმღებლობა ევროპელების მიმართ მით უფრო მაღალია მათი მიმღებლობა ჩინელების მიმართაც და პირიქით. დადებითი კორელაციაა ინდოელების მიმღებლობასა და ირანელების მიმღებლობას შორის, თურქების მიმღებლობასა და არაბების მიმღებლობას შორის. სტატისტიკურად სანდო, უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა ჩინელებისა და შავკანიანების მიმართ დამოკიდებულებაში. ქართველი სტუდენტებისათვის რაც უფრო მეტად მისაღებია ჩინელებთან ურიერთობა მითუფრო მეტ დისტანციას ამჯობინებენ შავკანიანებთან და პირიქით. უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა ასევე ევროპელებისა და შავკინიანების მიმართ მიმღებლობაში.

სოციალური დისტანციის საშუალო მაჩვენებელი სტუდენტებში
როგორ მოგექცეოდა. ნახ. 3



კითხვაზე -როგორ მოგექცეოდათ? ქართველი სტუდენტების წარ-მოდგენით, ეთნიკური ჯგუფების მიმღებლობა ქართველებისადმი ისევ სამ კატეგორიად დაიყო. ყველაზე დიდი მიმღებლობა გამოიკვეთა ევრო-პელებში. მეორე დონეზე გამოვლინდა შავკანიანები, თურქები და ჩინე-ლები. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლები მივიღეთ ინდოელების, არაბებისა და ირანელების ქართველების მიმართ მიმღებლობაში.

ნახ. 4



მე-6 ნახატის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სტუდენტი გოგონების აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფებიდან ქართველებს ყველაზე უკეთ მოექცევიან ევროპელები. საკმაო სხვაობით, მაგრამ მათი აზრით, ქართველებთან იმეგობრებენ და იმეზობლებენ თურქები და შავკანიანები. და ბოლოს, სოციალური დისტანციის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა ირანელებისა და არაბების სკალაზე.

სოციალური დისტანციის საშუალო მაჩვენებელი სტუდენტ ვაჟებში „როგორ მოგექცეოდა?“ ნახ. 5



გოგონებისაგან განსხვავებით სტუდენტი ვაჟების აზრით ეთნიკური ჯგუფებიდან ქართველების მიმართ მაღალი სოციალური კავშირით გამოვლინდნენ ევროპელები და შავკანიანები. შემდეგ საფეხურზე გამოიკვეთნენ თურქები და არაბები და მაღალი დისტანცია გამოვლინდა ჩინელების, ინდოელებისა და განსაკუთრებით ირანელების სკალაზე.

კითხვაზე -როგორ მოგექცეოდათ სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრები? გოგონებისა და ვაჟების პასუხებს შორის მივიღეთ მკვეთრი სხვაობები. მაგ: შავკანიანების დამოკიდებულება ქართველების მიმართ უფრო მაღალია ვაჟების აზრით ვიდრე გოგონების. მსგავსი სხვაობა შეინიშნება არაბების სკალაზე. ხოლო ევროპელების ჩინელების, ინდოელებისა და ირანელების მიმღებლობა ქართველების მიმართ უფრო მაღალია გოგონების სკალაზე ვიდრე ვაჟების (ნახ.6.)

კითხვაზე: „როგორ მოგექცეოდათ?“ ვაჟებისა და გოგონების დამოკიდებულების საშუალო მაჩვენებელი. ნახ. 6



როგორ მოექცეოდი? როგორ მოგექცეოდა? კითხვების სტატისტიკური ანალიზი. ნახ. 7



სტატისტიკური მნიშვნელობის სხვაობა კითხვებს შორის: „როგორ მოექცეოდი?“ და „როგორ მოგექცეოდა?“ არ გამოვლინდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს მიერ გამოყენებული საკვლევი ინსტრუმენტი ვალიდურია.

კორელაციური ანალიზი

ცხრილი 11

	როგორ მოექცეოდი?	როგორ მოგექცეოდა?
როგორ მოექცეოდი?	1 122	.352** .000 122
როგორ მოგექცეოდა?	.352** .000 122	1 122

**. Correlation is significant at the 0.01 level (2 tailed).

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ „როგორ მოექცეოდი?“ „როგორ მოგექცეოდა?“ ჯგუფებში ყველა პარამეტრების მიხედვით კორელაცია დადასტურდა დადებითი ნიშნით, რაც კიდევ ერთხელ ადასტუ-რებს ჩვენს მიერ გამოყენებული საკვლევი ინსტრუმენტის ვალიდობას.

დასკვნა

1. კლასტერული ანალიზის საფუძველზე ქართველ სტუდენტებში გამოვლინდა ეთნიკური ჯგუფებისადმი მიმღებლობის სამი დონე. მაღალი მიმღებლობით და შემწყნარებლობით გამოირჩევიან ევროპელების მიმართ, შედარებით დაბალი მიმღებლობით თურქებისა და შავკანიანების მიმართ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათთვის დასაშვებია აღნიშნული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ქორწინება და მეგობრობა. საშუალო დონის მიმღებლობა გამოვლინდა თურქების, ჩინელებისა და არაბების მიმართ, ანუ მათთვის მისაღებია ამ ეროვნების წარმომადგენლებთან მეზობლობა და თანამშრომლობა. ყველაზე დაბალი შემწყნარებლობის მაჩვენებელი გამოვლინდა ინდოელებისა და ირანელების მიმართ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართველი სტუდენტებისათვის ისინი მისაღებია მხოლოდ ტურისტებად.
2. სტატისტიკური მნიშვნელობის განსხვავება შეინიშნება გოგონებისა და ვაჟების ეთნუკური ჯგუფებისადმი სოციალური დისტანციის. მაგალითად: ევროპელების მიმართ უფრო მეტი მიმღებლობით გამოირ-

ჩევიან გოგონები ვიდრე ვაჟები, ხოლო არაბების მიმართ უფრო მაღალი დონის დისტანცია გამოვლინდა გოგონებთან ვიდრე ვაჟებთან. ჩინელების მიმართ შედარებით მაღალი მიმღებლობით გამოირჩევიან გოგონები და დაბალი მიმღებლობით ვაჟები.

3. ეთნიკური ჯგუფებისადმი ქართველი სტუდენტების მიმღებლობის კორელაციური ანალიზის საფუძველზე სტატისტიკურად სანდო დადებითი კორელაცია გამოვლინდა ევროპელებისა და ჩინელების მიმართ, ანუ რაც უფრო მაღალია ქართველი სტუდენტების მიმღებლობა ევროპელების მიმართ მით უფრო მაღალია მათი დამოკიდებულება ჩინელების მიმართაც და პირიქით. ანალოგიური დამოკიდებულება გამოვლინდა ინდოელებისა და ირანელების, თურქებისა და არაბების მიმართ. სტატისტიკურად სანდო უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა ჩინელებისა და შავკანიანების მიმართ მიმღებლობაში. ქართველი სტუდენტებისათვის რაც უფრო მეტად მისაღებია ჩინელებთან ურიერთობა მითუფრო მეტ დისტანციას ამჯობინებენ შავკანიანებთან და პირიქით. უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა ასევე ევროპელებისა და შავკaნიანების მიმღებლობაში.
4. კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ „როგორ მოექცეოდი?“ „როგორ მოგექცეოდა?“ ჯგუფებში ყველა პარამეტრების მიხედვით კორელაცია დადასტურდა დადებითი ნიშნით, რაც ადასტურებს ჩვენს მიერ გამოყენებული საკვლევი ინსტრუმენტის ვალიდობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

დესპოტაშვილი, აბზიანიძე (2004) დესპოტაშვილი მედეა, აბზიანიძე შალვა. ეთნიკური სტერეოტიპების კვლევა ქართველ ახალგაზრდებში - „ი. ბჟალავას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული“ თბილისი;

თევზაძე (2017) თევზაძე მაია.სტერეოტიპები და კულტურათაშორისი ურთიერთობები /“მეცნიერება და ცხოვრება“, N1 (15), თბილისი;

ლაღიძე (2009) ლაღიძე ნინო. სოციალური განწყობის სტრუქტურა და შეცვალა. დისერტაცია. თბილისი;

Липпман (2004 Липпман Уолтер. Общественное мнение. Институт фонда «Общественное мнение», Москва;